

## GEORGIAN CHURCH DURING THE PERIOD OF OTTOMAN AND KIZILBASH RULE

საქართველოს ეკლესია ოსმალთა და ყიზილბაშთა  
ბატონობის პერიოდში

Ana Dolidze

Doctoral student of the Doctoral program in History of Georgia  
Faculty of Humanities and Law,  
Georgian University of the Patriarchate of Georgia named after  
Saint Andrew the First-Called.  
Tbilisi, Georgia,  
ORCID ID: 0009-0007-0655-6295  
+995 598 551 647, dolidzeana87@gmail.com

### Abstract

The paper discourses the political and religious situation of Georgia in the 18th century, during the period of Ottoman and Kizilbash rule. The main source of this period is a work of V. Batonishvili, which meticulously accurately and visibly presents the political-economic, social-cultural, ethnic and religious situation of Georgia divided into kingdoms and principalities.

In Georgia, the Orthodox faith had a great influence in the formation, strengthening and dignified protection of Georgian culture, traditions, values and merits. The main goal of the secular and ecclesiastical authorities was to firmly protect these values and true beliefs and pass them on to posterity. Over the centuries, thousands of Georgians, from kings and queens to ordinary citizens, sacrificed themselves for this goal.

After the XVI century, when Georgia became the sphere of influence of Persia and Ottomans, our country appeared in a very hard situation. The situation became highly complicated in the 17th-18th centuries, when the Georgian kingdoms passed into the hands of Muslim rulers and propaganda against the Orthodox people had begun: the greatest privileges were granted to those who converted to the Muslim, Armenian and Catholic faiths, which resulted in the decline of the Orthodox faith and the degeneration of Georgian values. Georgian rules and customs were suddenly forgotten, foreign names were established, temples were desecrated, the number of priests was reduced, the unanimity and bravery of the ancestors was replaced by fun and pastime, which was well used by the enemy.

Some of the Georgian politicians believed that the process of moral degeneration could be stopped only in the depths of the Orthodox Church. The Georgian kings, outwardly Muslims, but Christians at heart, felt their responsibility before God and the country, as a result of which King of Kartli - Vakhtang V (1658-1675) tried to correct this process through his national and cultural activities, and then George XI (1675-1688, 1703-1709) and Vakhtang VI (1703-1714, 1716-1724) continued. The main goal was unchanged: to restore the political, cultural and spiri-

tual integrity of the nation, for which a very careful diplomatic relationship was needed, which would not irritate either the Persian or Ottoman empires and would protect the interests of Georgia!

At the beginning of the XVIII century, when the situation in the outside world changed in favor of Georgia, the Georgian kings tried to use the favorable conditions properly for the beneficial activities of the country, which resulted in the Christian approval of the Georgian kings on the royal throne of Kartli and Kakheti by the Shah of Persia, coronation was held on October 1 (14) 1745, at Svetitskhovli Patriarchal Cathedral in a particularly solemn situation!

**Keywords:** Ottomanism; Kizilbashoba; Church of Georgia; moral degeneration of Georgians; protection of faith.

### ანა დოლიძე

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტის, საქართველოს  
ისტორიის დოქტორანტი,  
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის  
ქართული უნივერსიტეტი,  
თბილისი, საქართველო  
ORCHID ID: 0009-0007-0655-6295  
+995 598 551 647, dolidzeana87@gmail.com

### აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში საუბარია XVIII საუკუნის საქართველოს პოლიტიკურ და რელიგიურ მდგომარეობაზე ოსმალთა და ყიზილბაშთა ბატონობის პერიოდში. ამ დროის უმთავრესი წყარო ვ. ბატონიშვილის თხზულებაა, რომელსაც ზედმიწევნით ზუსტად და თვალსაჩინოდ აქვს წარმოდგენილი სამეფო-სამთავროებად დაშლილი საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული, ეთნიკური და რელიგიური მდგომარეობა.

საქართველოში მართლმადიდებელ სარწმუნოებას უდიდესი გავლენა ჰქონდა ქართული კულტურის, ტრადიციების, ღირებულებებისა და ფასეულობების ჩამოყალიბებაში, განმტკიცებასა და ღირსეულად დაცვაში. საერო და სასულიერო ხელისუფლების უმთავრესი მიზანი ამ ღირებულებათა და ჭეშმარიტი სარწმუნოების ურყევად დაცვა და შთამომავლობისთვის გადაცემა იყო. ამ მიზანს საუკუნეთა მანძილზე ასიათასობით ქართველი ეწირებოდა მეფე-დედოფლებიდან დაწყებული რიგითი მოქალაქეებით დასრულებული.

XVI საუკუნის შემდეგ, როდესაც საქართველო სპარსეთისა და ოსმალეთის გავლენის სფეროდ იქცა, უმძიმესი ვითარება შეიქმნა საქართველოში. მდგომარეობა განსაკუთრებით გართულდა XVII-XVIII საუკუნეებში, როდესაც ქართული სამეფოები მუსლიმ მმართველთა ხელში გადავიდა და დაიწყო მართლმადიდებელთა წინააღმდეგ მიმართული პროპაგანდა: უდიდესი პრივილეგიები მიენიჭათ მუსლიმურ, სომხურ და კათოლიკურ სარწმუნოებაზე გადასულ პირებს, რასაც მოჰყვა მართლმადიდებელი

სარწმუნოების დაკნინება და ქართული ღირებულებების გადაგვარება. დავიწყებას მიეცა ქართული წეს-ჩვეულებები, დამკვიდრდა უცხოური სახელწოდებები, შეიძილა ტაძრები, შემცირდა სამღვდელოთა რაოდენობა, წინაპართა ერთსულოვნება და მამაცობა შეიცვალა განცხრომითა და ფუფუნებით, რაც კარგად გამოიყენა გარეშე მტერმა.

ქართველ პოლიტიკოსთა ნაწილი მიიჩნევდა, რომ ზნეობრივი გადაგვარების პროცესის შეჩერება მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში იყო შესაძლებელი. გარეგნულად გამუსლიმებული, მაგრამ გულით ქრისტიანი ქართველი მეფეები გრძნობდნენ თავიანთ პასუხისმგებლობას ღვთისა და ქვეყნის წინაშე, რის შედეგადაც ამ პროცესის გამოსწორება ჯერ ქართლის მეფე ვახტანგ V-მ (1658-1675 წ.წ.) სცადა ეროვნულ-კულტურული მოღვაწეობით, რაც შემდეგ გიორგი XI-მ (1675-1688 წ.წ., 1703-1709 წ.წ.) და ვახტანგ VI-მ (1703-1714 წ.წ., 1716-1724 წ.წ.) განაგრძეს. მთავარი მიზანი უცვლელი იყო: ერის პოლიტიკური, კულტურული და სულიერი მთლიანობის აღდგენა, რისთვისაც საჭირო იყო ძალზედ ფრთხილი დიპლომატიური ურთიერთობა, რომელიც არც სპარსეთისა და არც ოსმალეთის იმპერიებს არ გააღიზიანებდა და საქართველოს ინტერესებს დაიცავდა!

XVIII საუკუნის დასაწყისში, როდესაც გარესამყაროში ვითარება საქართველოს სასარგებლოდ შეიცვალა, ქართველი მეფეები ცდილობდნენ სწორად გამოეყენებინათ ხელსაყრელი პირობები ქვეყნის საკეთილდღვე საქმიანობისათვის, რასაც შედეგად მოჰყვა სპარსეთის შაპის მიერ ქართველი მეფეების ქართლისა და კახეთის სამეფო ტახტზე ქრისტიანული წესით დამტკიცება, რომელიც 1745 წლის 1(14) ოქტომბერს, სვეტიცხოვლის საპატ-რიარქო ტაძარში განსაკუთრებულად საზეიმო ვითარებაში ჩატარდა!

**საკვანძო სიტყვები:** ოსმალობა; ყიზილბაშობა; საქართველოს ეკლესია; ქართველთა ზნეობრივი გადაგვარება; სარწმუნოების დაცვა.

### შესავალი

საქართველოს თავისუფლებასა და ძლიერებაზე მუდამ ზრუნავდნენ ქართველი მეფეები და სხვა პოლიტიკოსები, რომელნიც ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ დამოუკიდებლობა და დაცვათ ქვეყანა მშვიდობისა და ომიანობის დროს. თუმცა, გარესამყაროს გავლენის შედეგად მათ ხშირად უხდებოდათ ორიენტაციის შეცვლა და რომელიმე იმპერიის ქვეშევრდომობა. გარესამყარო კი ნებისმიერ ეპოქაში მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა საქართველოს პოლიტიკურ მდგომარეობაზე: დიდი სახელმწიფოები მუდმივად ინტერესდებოდნენ საქართველოს ტერიტორიით მისი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო და მნიშვნელოვან გავლენას ახდენდნენ მის პოლიტიკურ, სოციალურსა თუ რელიგიურ მდგომარეობაზე. ისინი ყოველთვის არ იყვნენ საქართველოსადმი კეთილგანწყობილნი და ქართველ ხალხსა და მის ტერიტორიას მხოლოდ საკუთარ ინტერესთა განსახორციელებლად იყენებდნენ.

## კვლევის მეთოდოლოგია

ნაშრომზე მუშაობის პროცესში გამოყენებულია ისტორიული კვლევის კომპარატიული მეთოდი, რაც გულისხმობს მიზეზ-შედეგობრივი კავშირების მოძიებას, პროცესების მთავარი მახასიათებლების წარმოჩენას და მათ ანალიზს, პირველადი წყაროების მონაცემთა შეჯერებას საერთო დასკვნის გამოტანის მიზნით.

## შედეგები

XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე მკვეთრად გაიზარდა მართლმადიდებელი რუსეთის გავლენა კავკასიაში, რომელიც თანდათანობით მოიწვდა სამხრეთისკენ და საფრთხეს უქმნიდა სპარსეთისა და ოსმალეთის იმპერიებს. კავკასიაში რუსეთის ერთადერთ, ბუნებრივ პოლიტიკურ მოვავშირედ სარწმუნოებრივი თვალსაზრისით მართლმადიდებელი ქართველი ერი ითვლებოდა, რომლის მისწრაფებაც რუსეთისაკენ უკვე ცნობილი იყო. კავკასიის სხვა ყველა ხალხი და ქვეყანა ამ დროისათვის ან მუსლიმური იყო, ანდა პოლიტიკური თავისთავადობა ჰქონდა დაკარგული. მხოლოდ ქართველთა სარწმუნოება განიხილებოდა პოლიტიკურად საშიშ ელემენტად და იმ მიზნით, რომ ქართველები რუსებს არ შეერთებოდნენ, სპარსეთისა და ოსმალეთის იმპერიებმა დაიწყეს ბრძოლა ქართველთა ეროვნული, ჭეშმარიტი სარწმუნოების წინააღმდეგ: ამ შემთხვევაში საჭირო და აუცილებელი იყო მართლმადიდებელი სარწმუნოების დაკნინება, რითაც ქართველები ჭეშმარიტ სარწმუნოებასთან ერთად დაივიწყებდნენ თავიანთ მრავალსაუკუნოვან ისტორიას, დაკარგავდნენ ეროვნულ თვითშეგნებას, მდიდარ კულტურასა და წმინდა ზნეობას, რის შედეგადაც დამპყრობთა ტყვეობაში მოექცეოდნენ.

## მსჯელობა

აღნიშნული მიზნით სასტიკად იდევნებოდა მართლმადიდებელი სარწმუნოება საქართველოში, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქართველების გამუსლიმებას, საქართველოს დაცლას ახალგაზრდა და ჯანსაღი მოსახლეობისაგან - ქართველების ტყვეებად გაყიდვას, სპარსეთ-ოსმალეთში გადასახლებას. დასავლეთ საქართველოში მართლმადიდებელი სარწმუნოების დაკნინებასა და ანტიეროვნული საქმიანობის წახალისებას ხელს უწყობდა ოსმალეთი. სამხრეთ საქართველოში - ვინაიდან ეს ტერიტორია ოსმალეთს ჰქონდა დაპყრობილი, ოსმალური კანონები მოქმედებდა და აյ ქრისტიანი მუსლიმის წინაშე დამცირებულ მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო! ქრისტიანის მუსლიმობაზე გადასვლა განსაკუთრებული პატივითა და შეწყალებით აღინიშნებოდა და ეს ვრცელდებოდა ყველა ფენაზე: მუსლიმობაზე გადასულ თავად-აზნაურებსა და სასულიერო პირებს ასაჩუქრებდნენ და დიდ უფლებებს ანიჭებდნენ (მაგალითად, მათ შეეძლოთ ქართული წესის მიხედვით ემართათ თავიანთი სამფლობელო), ხოლო გლეხები თავისუფლდებოდნენ ქრისტიანებისთვის დაწესებული გადასახადებისაგან.

შედეგად, ამ პერიოდის საქართველოში მართლმადიდებლობა აღარ იყო ერთადერთი სარწმუნობა - მოსახლეობის ნაწილი იძულებით, ანდა საკუთარი ნებით სოციალური ჩაგვრისაგან თავის დაღწევის მიზნით მუსლიმდებოდა, ზოგი სომხურ სარწმუნოებას იღებდა, სხვანი - კათოლიკობას აღიარებდნენ, რაც „გათათრებას“, „გასომხებას“, „გაფრანგებას“ ან „გალეკებას“ გულისხმობდა და შესაბამისი შედეგიც სახეზე იყო: „ვინაითგან განმრავლდა სიძვა-მრუშება, სოდომია, ტყვის ყიდვა, შური, სრვა ურთიერთთა და სხუანი ბოროტნი, და ამისთვისცა მოუშუა ღმერთმან ბოროტი, რამეთუ მხეცნიცა მოეტევნენ და სჭამდენ ურიდად მრავალთა. კუალად მოვიდა სირი ჭივჭავი, რომელთა დააბნელიან მზე სიმრავლით და მოჭამა ნაშრომი სრულიად, რომელი არა თქმულ არს საუკუნით. კუალად იყო სრვაცა მომსრველი, ჟამი ძლიერი, გარნა არავინ შეიშინებდა ღუთისასა“ (ბატონიშვილი, 1973: 512).

აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის შეფასებით, საქართველოსა და ქართველი ერის ცხოვრებაში განსაკუთრებით მძიმე პერიოდი XVII საუკუნიდან იწყება მას შემდეგ, რაც სპარსეთის შაჰმა ქართლის მეფედ გამუსლიმებული როსტომ-ხანი (1633-1658 წ.წ.) დაამტკიცა. მიუხედავად იმისა, რომ მისი მეფობის პერიოდში ქართლის სამეფო ეკონომიკურ აღმავლობას განიცდიდა, მეფის სპარსულ-მუსლიმური ზეს-ჩვეულებების გავრცელება ქართულ ეროვნულ თვითშეგნებასა და არსებობას უდიდეს საფრთხეს უქმნიდა, რითაც ქართული ენისა და სარწმუნოების მოსპობას საქართველოში მეფე შეგნებულად უწყობდა ხელს (ჯავახიშვილი, 1967: 398).

ამ ყველაფერს მაღლ უმძიმესი შედეგები მოჰყვა: თუ მანამდე ქართველები საკუთარი მეფის, მართლმადიდებელი სარწმუნოებისა და ქართულ წეს-ჩვეულებათა მტკიცე და ერთგული დამცველნი იყვნენ, როსტომ-ხანის მეფობის პერიოდიდან მოყოლებული ქართველთა შორის დამკვიდრდა ანგარება, სიმდიდრის მოყვარება, ყიზილბაშური ჩაცმულობა, მამულების ქრთამით შეძენა, სიძვა, არაწმინდება, მამათმავლობა და მეძავობა, ხოლო ცოდვას მორიდებული და ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ქრისტიანები დაუცველ და უპატივცემულო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ (ეგნატაშვილი, 1940: 181).

XVII საუკუნის დასასრულისათვის საკუთარი ეროვნული ინტერესების დასაცავად ქართველი მეფეების სპარსეთის შაჰის საპირისპირო ღონისძიებებს ატარებდნენ თავიანთ სამფლობელოში, რითაც ომს უცხადებდნენ დამკურობლის პოლიტიკას. მათ შორის იყვნენ: ვაჟტანგ V, არჩილ II, გიორგი XI, ქაიხოსრო და ვახტანგ VI. მიუხედავად იმისა, რომ მათ არაერთი მარცხი განიცადეს და ქვეყნის დამოუკიდებლობა ვერ მოიპოვეს, უდიდესი წვლილი მიუძღვით ეროვნულ-საგანმანათლებლო და კულტურულ-სოციალურ სფეროში, რითაც მოამზადეს მყარი საფუძველი საქართველოში სამეფო ტახტზე ქრისტიანულად მირონცხებული წესით ქართველი მეფის დამტკიცებისათვის!

ზოგადად, საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას პქონდა და-მოუკიდებელი საკანონმდებლო საქმიანობის უფლება თავის საზღვრებში. საკანონმდებლო ორგანოს წარმოადგენდნენ საეკლესიო კრებები, რომელნიც

საერო და სასულიერო ხელისუფალთა ურთიერთდამოკიდებულებას ასახავდა. ი. დოლიძე აღნიშნავს, რომ ეკლესია ფეოდალურ ეპოქაში ძლიერ ძალას წარმოადგენდა. იგი თავისი წეს-წყობილებით მეორე სახელმწიფო იყო ქვეყანაში. ეკლესია თავისი პოლიტიკური და უფლებრივი შეუვალობით სარგებლობდა. მას დამოუკიდებელი სასამართლო იურისდიქცია ჰქონდა სხვადასხვა საკითხში. ვახტანგ VI-ის კანონების მიხედვით, კათალიკოსის კომპეტენცია განსაზღვრული იყო სისხლის სამართლის საქმეებში. ზოგიერთი მუხლის თანახმად საქმის განხილვის უფლება ჰქონდა მხოლოდ კათალიკოსს, ზოგ შემთხვევაში აუცილებელი იყო მეფისა და კათალიკოსის ერთობლივი განხილვა. ამიტომ, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში აღნიშნულია: „მეფისა და კათალიკოსის საქმე ორისავე სწორი არის იმიტომ, რომ ერთი ხორცის ხელმწიფება და მეორე სულისა.“ (ვახტ. კან. 25) ამასთან ერთად, სასულიერო წოდებას დიპლომატიური, სამოქალაქო და სამხედრო ფუნქციებიც ჰქონდა და მონაწილეობას იღებდა როგორც ელჩობაში, ასევე სამშობლოს დაცვის საქმეში, რაც ამავე დროს, სარწმუნოების დაცვას გულისხმობდა. ომში იბრძოდნენ როგორც საეკლესიო ყმები, ასევე, ეპისკოპოსები და კათალიკოსი. ეკლესიას საკუთარი მამულები ჰქონდა და ყმები ჰყავდა, რაც თავისთავად გულისხმობდა საკუთარი ჯარის ყოლას, რომლითაც ისინი თავიანთ მოვალეობას იხდიდნენ სამშობლოსა და ეკლესიის წინაშე: კათალიკოსის ჯარი მეფის ჯარს ედგა გვერდით, ხოლო ეპისკოპოსების ჯარი შედიოდა სხვადასხვა დროშის შემადგენლობაში (ცინცაძე, ფონდი 113: 5).

ქართლსა და კახეთში ქრისტიანული სახელმწიფოებრიობის არსებობის პერიოდში ქართველთა ეროვნულ იდენტობას სახელმწიფო ინარჩუნებდა, რომელსაც მხარში ედგა მართლმადიდებელი ეკლესია და სულიერ მზრუნველობას არ აკლებდა მას. მაგრამ XVII საუკუნის 30-იანი წლებიდან, როდესაც ქართლისა და კახეთის სამეფოები მუსლიმ მმართველთა ხელში გადავიდა, ქართველობას საფუძველი გამოეცალა, რამაც ხელი შეუწყო დენაციონალიზაციის პროცესის განვითარებას. ასეთ პირობებში ქვეყნის პოლიტიკური ერთიანობის შემანარჩუნებელ უმთავრეს ძალად და მოსახლეობის სულიერი და ზნეობრივი გადაგვარებისაგან დამცველ საშუალებად მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესია განიხილებოდა! საქართველოს პოლიტიკური დანაწევრების საწყის ეტაპზე კათალიკოსები ერთიანი და განუყოფელი საქართველოს შენარჩუნებისთვის იბრძოდნენ და განდგომილებისაკენ მიდრეკილი სამთავროების ეპისკოპოსებს საქართველოს მეფისა და კათალიკოსისადმი ფიცსა და აღთქმას ადგებინებდნენ. ხოლო როდესაც ერთიანი საქართველო სამეფო-სამთავროებად დაიშალა, საქართველოს ეკლესიას განსაკუთრებული პოლიტიკურ-ეროვნული მნიშვნელობა მიენიჭა. ამიერიდან მხოლოდ ეკლესია და კათოლიკოს-პატრიარქი წარმოადგენდა საქართველოს გამაერთიანებელ ძალას, რომელიც დაქუცმაცებული ქვეყნის ნაწილებს აერთიანებდა. ამის გამო სპარსეთისა და ოსმალეთის იმპერიები უდიდეს ყურადღებას უთმობდნენ ქართველთა გამუსლიმებას და მათ ჩამოშორებას მართლმადიდებელი ეკლესიის სამწყსოდან. ამ მუდმივმა ბრძოლამ

ქართველ ერს თანდათანობით დააკარგვინა წინააღმდეგობის უნარი, რამაც განაპირობა მართლმადიდებელი ეკლესიის ავტორიტეტის დასუსტება და ეროვნული გადაგვარება. აქედან გამომდინარე, ამ პერიოდში ქართული ეკლესიის ერთიანობის დამცველი საქართველოსა და ქართველი ერის მთლიანობისთვის მებრძოლი იყო, ხოლო მისი დამრღვევი - ქართული ეროვნული საქმის მომშლელი (ჯავახიშვილი, 1967: 174)!

რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, ამ პერიოდის იმერეთის სამეფოში განსაკუთრებით მძიმე ვითარება იყო. ფეოდალთა სეპარატიზმი ქვეყნის გაძლიერებისა და გაერთიანების საშუალებას არ იძლეოდა. იმერეთის მეფის სუსტი ხელისუფლების გამო ქვეყანას ფეოდალები მართავდნენ. მათი დაუსრულებელი ურთიერთდაპირისპირება ზნეობრივად და მორალურად ასუსტებდა ისედაც დაუძლურებულ სახელმწიფოს. ქრისტიანული სარწმუნოების დაკინებასა და ანტიეროვნული საქმიანობის წახალისებას ხელს უწყობდა ოსმალეთი. ამ საყოველთაო დაცემას განსაკუთრებით ართულებდა ტყვეთასყიდვა. ტყვებსყიდდნენყველანი: მეფეებიც, მღვდელმთავრებიც, მთავრებიც, თავადებიც, აზნაურებიცა და გაყაზახებული გლეხებიც (ალუდაური, 2012: 315).

იგივე მდგომარეობა იყო სამხრეთ საქართველოში: მესხები, - წერს მ. თამარაშვილი, როგორც პირველი იყვნენ ევროპელების დახვედრისა და მათგან სწავლა-განათლების მიღების პროცესში, ასევე პირველი შეიქმნენ ოსმალებთან შეტაკებასა და მათ მიერ ამოწყვეტის საქმეში. XVI საუკუნეში ოსმალთა მიერ საქართველოს ტერიტორიაზე გაბატონების შემდეგ მესხები გმირულად შეებნენ მტერს, მხნედ და დიდხანს იბრძოლეს მათთან და დიდი ჯარიც გაუწყვიტეს. მაგრამ მცირერიცხოვანი მესხეთის მოსახლეობა ოსმალთა მუდმივი და ძლიერი შემოსევების შედეგად თანდათან დასუსტდა და საბოლოოდ, თავიც შეკლა მტერს, რასაც მოჰყვა სამცხის 19 საეპისკოპოსოს ერთიანად მოსპობა და გადარჩენილ ქართველ მართლმადიდებელთა გამუსლიმება (თამარაშვილი, 1902: 411).

ასეთ უმძიმეს ვითარებაში საქართველოს გადაშენებისაგან დაცვა და პოლიტიკური ერთიანობის შენარჩუნება მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესიის წიაღში იყო შესაძლებელი, რაც ეროვნული იდენტობასთან იყო გაიგივებული. ამიტომ, ქართველებისათვის ეროვნება და სარწმუნოება სინონიმებად აღიქმებოდა! იმ დროს კი, ეროვნული თვითშეგნება, ქართული ენა, ისტორია და სარწმუნოება იმდენად დაკინება და დავიწყებას მიეცა, რომ ჭეშმარიტი რჯულის უარყოფისათვის აუცილებელი ადარ იყო ადამიანის წამება, ოჯახის აკლება, სიკვდილით დამუქრება ან დატყვევება. პირიქით, ბევრი ქართველი საკუთარი წებით უარს ამბობდა მართლმადიდებლობაზე და აღიარებდა მუსლიმობას (თამარაშვილი 1902: 301).

გარდა ამისა, „გათათრებული“ საერო ხელისუფლება უხეშად ერეოდა საეკლესიო საქმეებში, რამაც მთელი საქართველო დააზარალა: ერთიანი ქართული სახელმწიფოს დამლის შემდეგ ჩამოყალიბდა ადგილობრივი ქართული სამფონები, რომლებსაც ეკლესია და საერთო ქრისტიანული სარწმუნოება აერთიანებდა. სპარსეთისა და ოსმალეთის მიერ დაპყრობის შემდეგ კი, მართლმადიდებელი ქართველები დაუცველნი დარჩნენ, რის

გამოც გადავიდნენ მუსლიმურ, კათოლიკურ ან სომხურ სარწმუნოებაზე. ის მხარეები, სადაც ქართველი მოსახლეობა განიცდიდა დენაციონალიზაციას, თანდათანობით გადაგვარდა და უცხო ერს შეერწყა.

ერის გადარჩენისათვის უპირველეს ყოვლისა, აუცილებელი იყო ქვეყნის საერო და სასულიერო პირველ პირთა — მეფისა და კათალიკოსის ურთიერთკავშირი და მათი ერთობლივი, ერთსულოვანი, სამშობლოსათვის თავდადებული, ღირსეული და სწორი საქმიანობა. XVIII საუკუნის საქართველოში კი: „თვით სამღვდელონიცა და მღვდელმთავარნიცა მიდრევს კეთილისაგან და აღერივნეს ერთა თანა გოდებისაებრ იერემიასა, რამეთუ იყვნეს მოყვარე ღვინისა და ზმისა და შვებისა და განცხრომისა, უმღერდენ ურთიერთას სიძვა-მრუშებასა და მეძაობასა. ამას შინა მოუძლურდა სჯული და განირვყნა წესი ეკლესიისა, რამეთუ არღარა ეძიებდენ სულიერსა საქმესა, არამედ ხორცთათვის ზრუნვიდენ ყოველზივე“ (ეგნატაშვილი, 1940: 183).

XVIII საუკუნის დასაწყისში სპარსეთისა და ოსმალეთის ძლიერება საგრძნობლად დაეცა, რამაც დადებითი გავლენა იქონია საქართველოზე. ქართლსა და კახეთიდან სპარსეთში ჩასული ქართველი დიდებულები აქტიურად მონაწილეობდნენ და წარმართავდნენ სპარსეთის პოლიტიკურ ცხოვრებას. საკუთარი სიმამაცის გამო ქართველებს, როგორც შაპის ერთგულების გამომხატველთ, განსაკუთრებული ნდობა გააჩნდათ სპარსეთში და შაპის კარზე მიღწეული ყველა წარმატება მათ მიერ იყო მოპოვებული. ამიტომ, ქართველებს სპარსეთის პოლიტიკურ სარბიელზე გამორჩეულად დიდი გავლენა ჰქონდათ და ბევრი სასარგებლო საქმის აღსრულებაც შეეძლოთ სამშობლოსათვის. ყოველზივე ეს შაპისთვის კარგად იყო ცნობილი, რის გამოც ქართველებისაგან დაწინაურების სანაცვლოდ უპირველეს მოთხოვნად მუსლიმობის მიღებას ითხოვდა. ქართლის მმართველთა მუსლიმობით შაპიც დიდობდა ქართლ-კახეთის სამეფო თავის გავლენის სფეროდ განხეილა, რითაც იგი უპირისპირდებოდა რუსეთისა და ოსმალეთის ინტერესებს საქართველოში და ბევრ დათმობაზე მიდიოდა ქართველ მმართველთა წინაშე: უმატებდა ტიტულებს, უდიდებდა ჯამაგირს, უმტკიცებდა სოფლებს სპარსეთში მხოლოდ ერთადერთი მიზნით — რომ ისინი სპარსეთის შაპისა და მისი ოფიციალური სარწმუნოების ერთგულნი ყოფილიყვნენ!

ვინაიდან ქვეყნის გაერთიანების იდეოლოგიურ საფუძველს მართლ-მადიდებელი სარწმუნოება წარმოადგენდა, ეს მისია ეკლესიას უნდა შეესრულებინა. მაგრამ მღვდელმთავრები უკმაყოფილონი იყვნენ გიორგი XI-ის მიერ დასმული ნიკოლოზ კათალიკოსისა, რომელსაც არ შესწევდა სულიერი ძალა საკუთარი სამწყსოს მეთაურობისათვის. ასევე, არ მოსწონდათ ერკვლე I ნაზარალი ხანის მიერ დანიშნული, საკლესიო საკითხებში უმეცარი ევდემოს კათალიკოსი. ამიტომ, ქართლის ჯანიშინმა ვახტანგ VI-მ მისი მმართველობის პირველივე - 1703 წელს, შაპის ნებართვით მოიწვია კრება ეკლესიის მდგომარეობის მოსაწესრიგებლად, რომელზეც ქართლის კათალიკოსად დაადგინეს რუსეთიდან ახლად ჩამოსული, თუ ამ მიზნით ჩამოვანილი ვახტანგის ძმა - დომენტი (IV), რომელიც 1705 წელს აკურთხეს კათალიკოსად.

XVI საუკუნიდან, როდესაც აღმოსავლეთ საქართველო სპარსეთის პროვინციად იქცა, ქართლის საკათალიკოსო ტახტზე დადგინებისათვის აუცილებელი იყო შაპის ნებართვა და მისთვის მისაღები პიროვნების დამტკიცება. მაგრამ XVIII საუკუნის დასაწყისში სპარსეთში შექმნილმა მძიმე პოლიტიკურმა ვითარებამ, რომლის მოსაგვარებლად ქართველთა დახმარება სჭირდებოდა, აიძულა შაპი დათმობაზე წასულიყო და საეკლესიო კრების ამ გადაწყვეტილებას დასთანხმებოდა. შაპის მდგომარეობა ვახტანგ VI-მ და დომენტი კათალიკოსმა საკუთარი ქვეყნის სასარგებლოდ გამოიყენეს: აღადგინეს დარღვეული საეკლესიო სამართალი, ააგეს, აღადგინეს და შეამკვეს საეკლესიო ნივთები და ხატები, ეკლესია-მონასტრები და ციხეები -თბილისის სიონი, ანჩისხატი, სვეტიცხოველი, ურბნისი, სადგერი, მეფის სასახლე, დავით გარეჯაში სამხედრო დანიშნულების ნაგებობა კოშკით, ვანათის ციხე, წანარებში სასახლეები, ეკლესია და სამვალე; დასრულდა ქსოვრისის ტაძრის მშენებლობა. განაახლეს ხიდები და არხები... ეკლესია გაძლიერდა და განმტკიცდა, გაიზარდა მისი ავტორიტეტი. დომენტი კათალიკოსმა განაწესა საერო და სასულიერო პირთა უფლება-მოვალეობანი -თითოეულ ეპისკოპოსს ჩააბარა თავისი სამწყსო, რომელზეც მას სულიერად უნდა ეზრუნა და ემსახურა; ასევე, მრევლის მოვალეობანი, მათი ეკონომიკურ-მატერიალური მდგომარეობის გათვალისწინებით.

პარალელურად, ვახტანგ VI-ის ინიციატივითა და უშუალო ზედა-მხედველობით შეიქმნა „სწავლულ კაცთა კომისია“, რომელმაც გა-დაამუშავა საქართველოს ძევლი მატიანე და აღადგინა XIV-XVII საუ-კუნების საქართველოს დაუწერელი ისტორია, რომელსაც „ახალი ქართლის ცხოვრება“ ეწოდა. „ქართლის ცხოვრების“ ძევლ ტექსტში მათ შეიტანეს ქართველ წმინდანთა ცხოვრება და წამებანი, რაც მუსლიმობის პროპაგანდის წინააღმდეგ იყო მიმართული და ქართულ საზოგადოებაში ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთების გაღვივებასა და ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცებას ისახავდა მიზნად. ამავდროულად, „ახალი ქართლის ცხოვრებაში“ აღწერილია სრულიად საქართველოს მდგომარეობა, რაც ერთიანი საქართველოს გაძლიერების იდეას ემსახურება.

საქართველოში ეროვნულ-კულტურულ-პოლიტიკური მოღვაწეობა ზრდიდა წიგნზე მოთხოვნას. განსაკუთრებით ადამიანობია, რომ ვახტანგ მეფის თხოვნითა და ანთიმოზ ივერიელის დახმარებით 1709 წელს თბილისში დაარსდა სტამბა. გარდა ამისა, განათლებისა და წიგნების გამრავლება-გავრცელების ცენტრების ფუნქციას კვლავ ინარჩუნებდნენ ეკლესია-მონასტრები, საიდანაც მოსახლეობას სულიერი საზრდო მიე-წოდებოდა.

1709-1722 წლებში დაისტამბა 20 გამოცემა და მათ შორის უდიდესი ნაწილი სასულიერო და საღვთისმსახურო წიგნები იყო: სახარება, სამო-ციქულო, დავითნი, ლოცვანი, ჟამნი, პარაკლიტონი და სხვ.

- ქვეშევრდომთა ერთგულება ხელს უწყობდა ვახტანგ VI-ისა და დო-მენტი კათალიკოსის ეროვნულ საქმიანობას, მაგრამ მათი ნაყოფიერი მუშაობა მაღლ შეწყდა. როგორც სპარსეთისა და ოსმალეთისათვის, ასევე მათი ხელქვეითი გამუსლიმებული ქართველებისათვის მიუღებელი იყო მეფისა და კათალიკოსის ეროვნული მოღვაწეობა და მაღლ მათ საკუთარი მძები განუდგნენ.

ამავდროულად, ქართლის მეფის წინააღმდეგ გამოვიდა კახეთის ახალი მეფე კონსტანტინე მამად-ყული-ხანი (1722-1732 წ.წ.) რომელიც ვახტანგზე განრისხებულმა შაპ-თამაზმა ქართლის მეფედაც დაამტკიცა. გარდა ამისა, შაპის ბრძანებით ვახტანგ VI-ის წინააღმდეგ აჯანყდა თბილისის ყიზილბაშური გარნიზონი. კონსტანტინემ თავდაპირველად ვახტანგთან შეთანხმება სცადა, მაგრამ ქართლის მეფის რენეგატი მძის, იქსეს ჩარევის გამო ეს შეთანხმება ვერ მოხერხდა. კონსტანტინე ჯარით შემოვიდა ქართლში, თავდაპირველი მარცხის შემდეგ მან ლევთა ჯარი დაიქირავა და თბილის შემოადგა. 1723 წლის 4 მაისს კონსტანტინემ თბილისი აიღო. ლევებმა ქალაქი სასტიკად გაძარცვეს და გადაწვეს სიონის ტაძარი, რომლის დროსაც დაიკარგა თბილისის სიონის ხატი. ამასობაში ქართლში ოსმალები შემოიჭრნენ და ივნისში უკვე თბილისს მოადგნენ. კონსტანტინემ უბრძოლველად დათმო დედაქალაქი და თბილისის კლიტეები ოსმალებს გადასცა. ვახტანგ VII ცხინვალში გაიხიზნა. მეფე იმედოვნებდა, რომ მალე რუსთა ჯარი ჩამოვიდოდა და ვითარება საქართველოს სასარგებლოდ შეიცვლებოდა. მაგრამ რუსეთის იმპერატორმა ქართლში ჯარიარგზავნა და 1724 წელს ოსმალეთთან ხელშეკრულება დადო, რომლის თანახმადაც, ქართველებთან შეთანხმების გარეშე კასპიისპირეთი მის ხელში გადავიდა, ხოლო სპარსეთის იმპერიის დაშლის შედეგად ისარგებლა ოსმალეთმა და მთელი ამიერკავკასია, მათ შორის საქართველოც, მის შემადგენლობაში შევიდა.

უმძიმეს მდგომარეობაში იყო საქართველოს ეკლესიაც: ოსმალებს დატყვევებული ჰყავდათ ქართლის კათალიკოსი დომენტი, რითაც ისარგებლეს ქართლის თავადებმა და საეკლესიო მამულები მიიტაცეს. ოსმალები დიდად ავიწროებდნენ ქრისტიანულ ეკლესიას, დახარკეს საეკლესიო ყმა-მამული და მიზანმიმართულად ხელს უწყობდნენ მუსლიმობის გავრცელებას.

- განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში იყო კახეთი: აქ გადმოსული კონსტანტინე მაპმად-ყული-ხანი ხან ლევებთან კავშირში ოსმალებს ებრძოდა, ხანაც ოსმალების დახმარებით ლევების განდევნას ცდილობდა, რომელთაც თითქმის მთელი კახეთი დაიმორჩილეს, ააოხრეს და გაავრანეს. მოსახლეობის დიდი ნაწილი მუდმივად ციხეებში იყო ჩაკეტილი, უმრავლესობა კი „გალევებას“ არჩევდა, მხოლოდ მცირე ნაწილმა შეძლო მართლმადიდებელი სარწმუნოებისა და ეროვნების შენარჩუნება. ყოველივე ამან კახეთის მოსახლეობის აჯანყება გამოიწვია. ბრძოლა თელავიდან დაიწყო, რომელთაც დაამარცხეს ლევთა ჯარი და ამოწყვიტეს მათ სახლებში ჩამდგარი ახალ-ბატონები. თუმცა, ლევებს ციხეებიც ეჭირათ და მათ დასამარცხებლად ერთიანი ხელმძღვანელობა იყო საჭირო. ამიტომ, კახელებმა მოიწვიეს ფშავში გახიზნული კონსტანტინე და მისი ძმა თეიმურაზი. გაძევებული თავადაზნაურობა და სამღვდელოება თანდათანობით დაუბრუნდა თავის საყმოსა და სამწყსოს და განადგურების პირას მყოფი ქვეყნისა და ეკლესიის აღდგენას შეუდგა.

- ამის პარალელურად, ირანის შიდაპოლიტიკური მდგომარეობა გამოსწორდა: შაპ-თამაზის ნიჭიერმა სარდალმა ნადირ-ხანმა ავღანელები

დაამარცხა და 1730 წელს სრულად განდევნა ირანიდან, რის შემდეგაც ოსმალებს შეუტია. მან რუსეთის მთავრობა აიძულა, სამხრეთ და დასავლეთ კასპიისპირეთი კვლავ ირანის მფლობელობაში გადასულიყო. 1733 წელს ნადირ-ხანმა კერკუკთან სასტიკად დაამარცხა ოსმალთა არმია და 1734 წელს განჯას შემოარტყა ალყა. შექმნილი ვითარება ქართველმა პოლიტიკოსებმა ხელსაყრელ მომენტად მიიჩნიეს და კახეთიდან ოსმალთა განდევნა სცადეს. ამ აჯანყებას თეიმურაზ ერევლეს მე მეთაურობდა. მან სოფ. მაღაროსთან დაამარცხა იუსუფ-ფაშა, რითაც კარგი დახმარება გაუწია ირანელებს და გზა გაუხსნა საქართველოდან ოსმალთა განსადევნად. ისაყ-ფაშამ ახალციხისკენ წასასვლელი გზა ითხოვა, 1735 წლის 30 ივლისს იგი ქართლს გაეცალა და 6 ნოემბერს ნადირ-ხანი თბილისში შემოვიდა. ამით ქართლში დასრულდა „ოსმალობა“, რომელიც არანაკლებ მძიმე „ყიზილბაშობით“ შეიცვალა.

თბილისში შემოსული ნადირ-ხანი მხოლოდ 17 დღეს გაჩერდა დედა-ქალაქში და ოსმალთა დასახმარებლად დაგვიანებით მოსული ყირიმელი თათრების გასანადგურებლად დარუბანდისკენ გაემართა, უკუაქცია ისინი, თავად მუღანში ჩავიდა, შაჰ-თამაზ II გადააყენა და ირანის დიდებულთა ყურულთაიზე 1736 წლის 26 თებერვალს თავი ირანის შაჰიდ გამოაცხადა. მან დიდი ყურადღება დაუთმო საქართველოს საკითხს: ამჯერად ალექსანდრე ალი-მირზას მხოლოდ კახეთი, ხოლო ქართლი ყიზილბაშ სეფი-ხანს გადასცა, რომელმაც ახალი, მძიმე გადასახადები დააწესა. ამას ქართველ თავადთა განდგომა მოჰყვა. სეფი-ხანმა მათ მარბიელი ლაშქარი შეუსია, რომელიც შანშე ქსნის ერისთავმა და გივი ამილახვარმა დაამარცხეს და აიძულეს სეფი-ხანი თბილისში ჩაკეტილიყო.

ასეთ ვითარებაში ქართველთა ერთადერთ სავარაუდო დამხმარე ძალად კვლავ რუსეთი განიხილებოდა და რამდენიმე ელჩობაც გაიგზავნა, თუმცა არცერთ მათგანს საქართველოსთვის არანაირი შედეგი არ მოჰყოლია.

ირანის შაჰი დარწმუნდა, რომ ქართველთა დაუსრულებელი აჯანყებების გამო დათმობაზე წასვლა აუცილებელი იყო. მან ქართლის ყიზილბაში მმართველიც ახლით შეცვალა და თავის მოხელეებს დაავალა „ხარაბა“ (მიტოვებული) ადგილები ხარკისგან გაეთავისუფლებინათ. ამას-თანავე, კახეთიც გაათავისუფლა ხარკისგან და მხოლოდ 500 მეომრის გამოვანა დაავალა, რომელიც თეიმურაზს უნდა ხლებოდა. ამრიგად, ნადირ-შაჰი დათმობაზე წავიდა და კახეთის „გაყიზილბაშებაზე“ ხელი აიღო.

1744 წელს გივი ამილახვარს ოსმალეთიდან დამხმარე ჯარი მოუვიდა, რომელიც მის მომხრეებთან ერთად ერევლე ბატონიშვილმა აჩაბეთის ციხესთან სასტიკად დაამარცხა. ამასთანავე, თეიმურაზმა ტყვედ იგდო ირანის ტახტის ერთ-ერთი მაძიებელი, რომელიც შაჰს გაუგზავნა. ნადირ-შაჰმა თეიმურაზი შესაფერისად დააჯილდოვა: ქართლის მმართველად დანიშნა და ყაზახ-ბორჩალო გადასცა.

ამავე წელს ქართლში ოსმალთა დიდი ჯარი შემოვიდა უსუფ-ფაშას მეთაურობით, რომელთაც დაღესტანში თანხა მიჰქონდათ ლეკების დასაქირავებლად. ერევლე ბატონიშვილი არაგვის პირას, საგურამოსთან ჩაუსაფრდა მათ და მოულოდნელი თავდასხმით გაანადგურა.

ერეკლე-თეიმურაზის წარმატებული მოქმედებებით უაღრესად კმაყოფილმა ნადირ-შაჰმა მიიღო საქართველოსათვის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება: თეიმურაზი ქართლის მეფედ, ხოლო ერეკლე კახეთის მეფედ ქრისტიანად დაამტკიცა, სპარსეთის ხაზინიდან „ჯამაგირი“ დაუნიშნა და ქართლს ხარკი საგრძნობლად შეუმცირა. ეს იყო 150-წლოვანი „ქართველობის“ დიდი გამარჯვება, რომელიც განსაკუთრებული ზეიმით აღინიშნა!

მეფედ კურთხევის ცერემონიალი ჩატარდა სვეტიცხოვლის საპატ-რიარქო ტაძარში 1745 წლის 1 (14) ოქტომბერს - სვეტიცხოვლობის დღე-სასწაულზე. საუკუნე-ნახევარზე მეტი იყო გასული, რაც აღმოსავლეთ საქართველოს სამეფო ტახტზე ქრისტიანულად მირონცხებული მეფე აღარ მჯდარა. მეფის კურთხევის წესი დავიწყებული იყო. ამიტომ, საქართველოს ახალმა კათალიკოსმა ანტონ I-მა ეს წესი კლასიკური დროის ძეგლების მიხედვით აღადგინა და სათანადო ბრწყინვალებით ჩაატარა. ცხადია, იგი კარგად ითვალისწინებდა ამ აქტის მორალურ და პოლიტიკურ მნიშვნელობას!

### დასკვნა

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ: მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ტერიტორია სპარსეთისა და ოსმალეთის იმპერიებს შუაზე ჰქონდათ განაწილებული და ქართველთა გადაგვარებასა და ტომობრივ დაყოფას შეგნებულად უწყობდნენ ხელს, მათი ეს მცდელობა წარუმატებლად დასრულდა! არაერთ ქართულ დოკუმენტში ნათლად ჩანს, რომ როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მაცხოვრებელი სხვადასხვა კუთხის მოსახლეობა მოხსენიებულია მხოლოდ ერთ - ქართველი ეროვნების წარმომადგენლად, ყოველგვარი ტომობრივი დაყოფისა და დანაწევრების გარეშე, რომელსაც აერთიანებდა საერთო ენა, კულტურა, ტრადიციები და სარწმუნოება, რასაც ღირსეულ პოლიტიკოსებთან ერთად მუდამ მტკიცედ იცავდა და დღემდე იცავს ქართული ეკლესია!

### დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

batonishvili, v. (1973). aghtsera sameposa sakartvelosa. kartlis tskhovreba. t. IV. s. qaukhchishvils gamotsema. tbilisi. ბატონიშვილი, ვ. (1973). აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხშჩიშვილის მიერ, თბილისი.

(aludauri, m. (2012). sakartvelos istoria otkh tomad. t III. tbilisi.) ალუდარი, მ. (2012). „საქართველოს ისტორია.“ ოთხ ტომად, ტ. III.

(dolidze, i. (1970). kartuli samartlis dzeglebi. t III. tbilisi.) დოლიძე, ი. (1970) ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III.

(dumbadze, m (1974). sakartvelos istoriis narkvevebi 8 tomad. t. IV. tbilisi.) დუმბაძე, მ. (1974). „საქართველოს ისტორიის ნარკვევები.“ 8 ტომად, ტ. IV.

egnatashvili, b. (1940). akhali kartlis tskhovreba iv. javakhishvilis gamotsema.

tbilisi. ეგნატაშვილი, ბ. (1940). „ახალი ქართლის ცხოვრება“, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა.

tamarashvili, m. (1902). istoria katolikobisa kartvelta shoris. tpilisi. თამარაშვილი, გ. (1902). ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის.

javakhishvili, i. (1967). kartveli eris istoria . t. IV. tbilisi. ჯავახიშვილი, ი. (1967). „ქართველი ერის ისტორია,“ ტ. IV.

japaridze, a. (1997). kartvelta denatsionalizatsia XVII-XX saukuneebshi. tbilisi. ჯაფარიძე, ა. (1997). „ქართველთა დენაციონალიზაცია XVII-XX საუკუნეებში“.

japaridze, a. (2010). sakartvelos eklesiis kanonta krebuli. tbilisi. „საქართველოს ეკლესიის კანონთა კრებული“.

k. kekelidzis saxelobis sakartvelos khelnatserta erovnuli tsentri . kalistrat tsintsadzis pundi N 113. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, კალისტრატე ცინცაძის ფონდი N 113.